რა მაქვს საერთო ამ ქვეყანასთან? ჩემი ყოფნა ამ დუნიაში ჰგავს მგზავრს, რომელმაც ხის ჩრდილში დაისვენა, შემდეგ კი გზა გააგრძელა და დატოვა ის

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაიძინა წნელის ნაქსოვ ქვეშაგზე, როდესაც წამოდგა მას გვერდებზე ნაკვალევი ემჩნეოდა, და ვუთხარით: ო ალლაჰის შუამავალო, არ გინდა შენ რბილი ბალიში მოგიტანოთ? მან თქვა: «რა მაქვს საერთო ამ ქვეყანასთან? ჩემი ყოფნა ამ დუნიაში ჰგავს მგზავრს, რომელმაც ხის ჩრდილში დაისვენა, შემდეგ კი გზა გააგრძელა და დატოვა ის».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ და იბნ მააჯამ]

აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაიძინა ბალახებისგან ნაქსოვ ბალიშზე, როდესაც წამოდგა მას გვერდზე ნაკვალევი ემჩნეოდა, და ვუთხარით: ო ალლაჰის შუამავალო, არ გინდა რბილი ბალიში მოგიტანოთ, რომელზეც წამოწვები და უფრო უკეთესი იქნება ამ უხეში ქვეშაგისგან, მან თქვა: მე არ მიყვარს და არ ვილტვი ამ ქვეყნისთვის, რომ მოვითხოვო მისი ფუფუნება, ჩემი ამქვეყნად გაჩერების მაგალითი იმ მგზავრის მაგალითს ჰგავს, რომელმაც დაისვენა ხის ძირას, შემდეგ წამოდგა და გზა განაგრძო.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65814

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee